საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-11/ნ

2018 წლის 12 სექტემბერი

ქ. თბილისი

სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული:

1. „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი“ (დანართი №1).
2. „პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი“ (დანართი № 2).
3. „დამსაქმებლის მიერ პროფესიული დაავადების აღრიცხვის ფორმა“ (დანართი №3).

მუხლი 2

ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნტის „ე“ ქვეპუნქტისა და №2 დანართის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო ამ ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნტის „ე“ ქვეპუნქტი და №2 დანართის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო